საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი №307

15 დეკემბერი, 2015 წელი თბილისი, საქართველო

2015 წლის 15 დეკემბერს 15:00 სთ-ზე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ადმინისტრაციულ კორპუსში (კოსტავას 68) გაიმართა სამეურვეო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: ნათელა სახოკია, ქეთევან მსხილაძე, მარინა მუსხელიშვილი, გიორგი კოხრეიძე და ალექსანდრე ვახტანგოვი. სხდომას არ ესწრებოდნენ: ლელა გაფრინდაშვილი და გრიგოლ გოგელია. მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 28 მუხლის I პუნქტის თანახმად, საბჭო უფლებამოსილი იყო გაემართა სხდომა.

სხდომამ განიხილა შემდეგი საკითხი:

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" და აჭარის ტელევიზისა და რადიოს 2016 წლის ბიუჯეტის პარამეტრების განსაზღვრა.
2. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" აჭარის ტელევიზისა და რადიოს 2015 წლის ბიუჯეტის კორექტირება.
3. მიმდინარე საკითხები

მიმდინარე სხდომას სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მარინა მუსხელიშვილი უძღვებოდა, სხდომას საბჭოს წევრების გარდა ესწრებოდნენ: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ფინანსების და ადმინისტრაციის ბლოკის დირექტორი კახა სონიშვილი, სამეურვეო საბჭოს ფინანსური კონსულტანტი გიორგი ნატროშვილი და მაუწყებლის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი ელენა მიხაილოვა.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მარინა მუსხელიშვილმა წევრებს და დამსწრე პირებს გააცნო სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

პირველი საკითხი

მარინა მუსხელიშვილმა პირველ საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა: ჩვენ დღევანდელ სხდომაზე მაუწყებლის ფინანსური და ადმინისტრაციული ბლოკის დირექტორისგან მივიღებთ ზუსტ ინფორმაციას მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად, რა ოდენობის თანხაა განსაზღვრული სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის" 2016 წლისათვის, მთლიან ციფრს, რომელშიც შედის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2016 წლისათვის განსაზღვული თანხა.

საკითხზე დეტალური ინფორმაციის გასაკეთებლად მარინა მუსხელიშვილმა სიტყვა გადასცა მაუწყებლის ფინანსების და ადმინისტრაციის ბლოკის დირექტორს კახა სონიშვილის, რომელმაც აღნიშნა, რომ მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2016 წლის დაფინანსება განისაზღვრა 44 100 000 ლარით, საიდანაც 85% არის 37 485 000 ლარი და 15% 6 615 000 ლარი.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მარინა მუსხელიშვილმა, შესათანხმებლად კენჭისყრაზე დააყენა მაუწყებლის 2016 წლისათვის განსაზღვრული საბიუჯეტო დაფინანსების ოდენობის გადანაწილების ზოგადი მაჩვენებლები, კერძოდ: საერთო თანხის, 44 100 000 ლარის 85%, 37 485 000 ლარი განისაზღვრა სსიპ „საზოგადოებრივი

მაუწყებლის“ ბიუჯეტად, ხოლო 15%, ანუ 6 615 000 ლარი აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ბიუჯეტად, რასაც სხდომაზე დამსწრე ხუთივე წევრმა დაუჭირა მხარი.ორივე მაუწყებელს ეთხოვა ბიუჯეტის წარდგენა ამ პარამეტრების ფარგლებში (კომერციული ბიუჯეტის გარდა).

მეორე საკითხი

მეორე საკითხთან დაკავშირბით, მარინა მუსხელიშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებმა 2015 წლის 9 დეკემბრის სამუშაო შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდა საბჭოს ოთხი წევრი: მარინა მუსხელიშვილი, ნათელა სახოკია, გიორგი კოხრეიძე და ალექსანდრე ვახტანგოვი, ასევე საბჭოს ფინანსური კონსულტანტი გიორგი ნატროშვილი, განიხილეს აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, მათ შორის, აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2015 წლის ბიუჯეტის კორექტირების საკითხი, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წევრებმა მოისმინეს გიორგი ნატროშვილის განმარტებები წარმოდგენილი ბიუჯეტის კორექტირების შესახებ, კერძოდ, რა ცვლილებებს ითხოვდა აჭარის ტელევიზიის და რადიოს მრჩეველთა საბჭო.
დეტალური ინფორმაციის მიღების შემდგომ საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ წარმოდგენილი საკითხი, რომელიც ეხებოდა აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2015 წლის ბიუჯეტის კორექტირებას, შესულიყო საბჭოს 2015 წლის 15 დეკმბრის სხდომის დღის წესრიგში.

მარინა მუსხელიშვილმა გააკეთა განმარტება 2015 წლის 9 დეკემბრის სამუშაო შეხვედრაზე წარმოდგენილი კიდევ ორი საკითხის შესახებ, რომლებიც ასევე აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს მიერ იყო წარმოდგენილი, კერძოდ:

1. სსიპ „აჭარის ტელევიზიისა და რადიო-“ს 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი.

2. სსიპ „აჭარის ტელევიზიისა და რადიო-“ს დებულების ცვლილების პროექტი.

პირველ საკითხთან დაკავშირებით წევრები შეთნხმდენენ და კენჭი უყარეს შემდეგს: ა. საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა და აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭომ 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი დასამტკიცებლად მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წარმოუდგინოს, ზემოთ განსაზღვული პარამეტების ფარგლებში. ბ. ბიუჯეტის პროექტს, რომელიც მხოლოდ ციფრებს მოიცავს, ორივე მაუწყებელმა დაურთოს ამ ბიუჯეტის დასაბუთება, რომელიც უნდა მოიცავდეს 2016 წლის სამოქმედო გეგმას, რომელიც განმარტავს 2016 წლის ხარჯვით პრიორიტეტებს იმ საზოგადოებრივი მიზნების მიღწევასთან მიმართებაში, რომლებსაც ემსახურება წარმოდგენილი 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი. გ. წარმოდგენილ ბიუჯეტებს დაერთოს დანართი, რომელიც აჩვენებს თითოეული გადაცემის ღირებულებას.

სსიპ „აჭარის ტელევიზიისა და რადიო-“ს დებულების ცვლილების პროექტთან დაკავშირებით წევრები შეთანხმდნენ შემდეგზე: დაინიშნოს სამეურვეო საბჭოს სამუშაო შეხვედრა (18 დეკემბერს 14:00 საათზე) რომელსაც, დაესწრებიან აჭარის ტელევიზიის წარმომადგენლები, რომელბიც მათ მიერ წარმოდგენილი სსიპ „აჭარის ტელევიზიისა და რადიო-“ს დებულების ცვლილების პროექტთან დაკავშირებით გააკეთებენ პრეზენტაციას და დეტალურ ინფორმაციას მიაწოდებენ საბჭოს წევრებს მათთვის სასურველი დებულების ცვლილებების შესახებ. საბჭოს წევრებმა დაავალეს საბჭოს

აპარატს აღნიშნული შეხვედრის ორგანიზება და აქვე აღნიშნეს, რომ აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის, სამეურვეო საბჭოს მიერ მოთხოვნილი ფორმით მომზადების შესახებ, აჭარის ტელევიზიის ფინანსური სამსახურის წამომადგნელებმა, კონსულტაცია გაიარონ საბჭოს ფინანსურ კოსულტანტთან გიორგი ნატროშვილთან.

შემდგომ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, კენჭისყრაზე დააყენა, აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს მიერ 2015 წლის ბიუჯეტის კორექტირების საკითხი, რომელსაც სხდომაზე დამსწრე საბჭოს ხუთივე წევრმა დაუჭირა მხარი. (გადაწყვტილება ოქმს თან ერთვის)

მიმდინარე საკითხები

მაუწყებლის ფინანსების და ადმინისტრაციის ბლოკის დირექტორმა მიმდინარე საკითხებში განსახილველად წარმოადგინა მის მიერ, მომზადებული და სამეურვეო საბჭოს სახელზე გამოგზავნილი სამსახურებრივი ბარათი, რომელიც სამეურვეო საბჭოს მიმდინარე სხდომის, დღის წესრიგის განსაზღვრის შემდგომ შემოვიდა საბჭოს აპარატში. მარინა მუსხელიშვილმა სამსახურებრივ ბარათში აღნიშნული საკითხის შესახებ, რომელიც ეხებოდა საზოგადოებრივი მაუწყებელს და შპს „საქტელერადიოცენტრს" შორის ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემას, (სამსახურებრივი ბარათი ოქმს თან ერთვის)დეტალური ინფორმაციის გასაკეთებლად სიტყვა გადასცა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ფინანსების და ადმინისტრაციის ბლოკის დირექტორს კახა სონიშვილს. მაუწყებლის ფინანსების და ადმინისტრაციის ბლოკის დირექტორის მიერ გაკეთებული ინფორმაციის შემდგომ, საბჭოს წევრებმა მოითხოვეს დამატებითი ინფორმაციის მიღება მაუწყებლის ტექნიკური სამსახურის წარმომადგენლის მხრიდან. მიმდინარე სხდომაზე მარინა მუსახელიშვილმა მოკლე შესვენება გამოაცხადა.

სხდომის გარძელებისთანავე, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ განმარტა, რომ შესვენების დროს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" მაუწყებლობისა და ტექნიკური უზრუნველყოფის დეპატამენტის უროსისგან ბესიკ მაზანაშვილისგან, საბჭოს წევრებმა წარმოდგენილ საკითხთან დაკვშირებით, დეტალური ინფორმაცია მიიღეს, რის საუძველზე წევრები შეთანხმდნენ კენჭისყრაზე დააყენონ, მაუწყებლის ფინანსების და ადმინისტრაციის ბლოკის დირექტორის მიერ მიმდინარე საკითხებში წარმოდეგნილ საკითხს. კენჭისყრის შედეგად, აღნიშნულ საკითხს სხდომაზე დამსწრე ხუთვე წევრმა დაუჭირა მხარი (გადაწყვეტილება ოქმს თან ერთვის).

შემდგომ, მარინა მუსხელიშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა, საბჭოს შემდეგი სხდომის თარიღი, დრო და დღის წესრიგი საბჭოს წევრებს დამატებით ეცნობებათ. 2015 წლის 15 დეკემბრის საბჭოს სხდომის ვიდეო ჩანაწერი განთავსებულია მაუწყებლის ვებ-გვერდზე: www.gpb.ge

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მარინა მუსხელიშვილი

სხდომის მდივანი ირინე ზაქარიაშვილი